კომუნისტი

ბოლშევიკურ-ლენინური ფრაქციის ორგანო

ბოლშევიკურ-ლენინური ფრაქციის

ბუნებრივად და თანმიმდევრულად

კომპარტიის

ყ. სრ. სოც. მ., გ. წ. ორ. და წ. ბ. დეპ. სხ.

ცენტრალური ორგანო.

რედაქციის: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 1. მე-8 სართული

ადმინისტრაციის: ტფილისი, რუსთაველისპრ. № 24 მე-2 სართული. ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის ნახულობა-რეგისტრაცია ზეიმდეს ნახევარ ოცდა ერთ-ოცამდე დღეში 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომერი: რედაქციისა 14—76. ადმინ. 10—58

ფასი: ერთი ნომერი 10 მან. ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 ბ. წინასწარ. სტრიქონი. საგანგებო განცხადება 3 მ.

№ 107 კვირა 13 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 107

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ლონდონში მოიკლეს საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ამხ. ვოროვსკი.

ინგლისის ტრადერები კონტრაბანდული ტვირთ განაგრძობენ საბჭოთა რუსეთის წყლებში თ რეშს.

ინგლისს და იტალიის მთავრობები ეკონომიკურ კონფერენციაზე პასუხი ნოტას გერმანიას.

საოკუპაციო ჯარი განაგრძობს სასტიკი ზომების მიღებას რურის ოლქის მცხოვრებთა მიმართ: სასწრაფოთ ასახლებს ბაზელერ-ბიდან მუშა-მოსამსახურეთ, რეკვიზიციას უშვებს მათ კუნძულებ. და სხვა

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ-ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

(ᲧᲝᲤ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ), ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠ. № 24.

ᲢᲔᲚᲔᲤ. № 5—43.

15 მაისიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

საერთო ხელის მოწერა თვიურათ	1.000.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	750.000
ერთი ეგზემპლიარი	40.000

კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 20 მაისამდის შემოიტანონ განსხვავება მაისის მეორე ნახევრის, წინაღმდეგ შემთხვევაში გაზეთების მიწოდება შეწყვეტილი იქნება.

4—2

ᲐᲛᲮ. ᲕᲝᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

10 ამა მაისს ლონდონში მოკლულ იქნა რუსეთის წარმომადგენელი ლონდონის კონფერენციაზე, ამხ. ვოროვსკი. მასთან დაჭრილია მისი ორი თანამშრომელი.

ამ ამბავშეფოთებელ ტერორისტულ აქტის შესახებ დაწვრილებითი და უტყუარი ცნობები ჯერ-ჯერობით არ მოგვსვლია, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი პოლიტიკური სარჩულის და ხასიათის გამორკვევა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, თუ როგორ შეხვდნენ ამხ. ვოროვსკის ლონდონში, როგორც კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, ისე შეიეცარიის მთავრობა.

ლონდონის ეხლანდელი კონფერენცია, მისი მომწვევთა სიტყვითაც, რის გაგრძელება ლონდონის პირველი კონფერენციის, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა ფედერაციის დელეგაციაც.

თუ ეს ასეა, მაშინ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ეხლაც უნდა ჰქონოდა უფლება კონფერენციაზე დასწრების, მასში მონაწილეობის მიღების.

ოსმალეთის დელეგაციამაც მოითხოვა ჩვენი წარმომადგენლების დაშვება.

მაგრამ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის დაშვების წინასწარ პირობად ანტანტამ, მისმა წარმომადგენელებმა, კონფერენციის გენერალური სამდივნის საბით, მოსთხოვა საბჭოთა მთავრობას ხელი მოეწერა იმ კონვენციაზე რაუტების შესახებ, რომელიც დაიდვა ანტანტასა და ოსმალეთ შორის პირველი კონფერენციის დროს. ჩვენმა მთავრობამ მაშინაც პროტესტი განაცხადა ამ კონვენციის წინააღმდეგ, რომლის მიზანდეთ სრუტეებსა და შავ ზღვაზე ბატონობა ინგლისის ფლოტი, რაც პოლიტიკურადაც ეწინააღმდეგებოდა, შედეგად საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნებისათვის.

ამხ. ვოროვსკიმ, რა თქმა უნდა, ეს პირობა უარყო.

ამასთან, კონფერენციის სამდივნო შეეკადა თავიდან აეშორებია ამხ. ვოროვსკი შეიეცარიის მთავრობის დახმარებით, რომელმაც ჩვენს წარმომადგენელს უარი უთხრა ვიზაზე. ამით შეიეცარიის მთავრობა, რომელიც არ იღებს მონაწილეობას კონფერენციაში და ითვლება ნეიტრალურ მხარედ, ჩაერია რუსეთის და ანტანტის კონფლიქტში უკანასკნელის სასარგებლოდ და დაარღვია ყველა „დელეგაციებისადმი ერთნაირი დამოკიდებულების პრინციპი, რომელიც მას, როგორც მესამე მხარეს, უნდა დაეცვა. მაგრამ ამ პირდაპირ პოლიტიკურ ზომებმა არ გასჭრეს, და ამხ. ვოროვსკი ბოლოს ჩავიდა ლონდონში.

საბჭოთა წარმომადგენლის ჩასვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. კერძოდ საფრანგეთის „საზოგადოებრივი აზრი“, მისი იმპერიალისტური პრესა ოსმალეთის შეურიგებლობას და კონფერენციის უკვე საკმაოდ გამორკვეულ მარცხს აწერს მეტ-ნაკლებად საბჭოთა მთავრობის და მისი წარმომადგენლის პოზიციას.

ამ გვარად, იმ თავითვე მტრული დამოკიდებულება გამოიჩინა ამხ. ვოროვსკის გამოსვლისადმი უმთავრესად საფრანგეთმა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ეს ხუთი თვეა, რაც ცეკავშირის სათავეში ჩვენი ამხანაგები დგანან და ხელმძღვანელობენ საქართველოს კოოპერაციის საქმიანობას, მის განაწილებას. შარშან ნოემბრის ბიუროულ-ში მოხდა არჩევნები, ბოლო დეკემბრის შუა რიცხვებიდან ფაქტიური პასუხისმგებლობა დაეკისრა ჩვენს პარტიას. როგორი იყო ცეკავშირის სუფრათ ამ ხუთი თვის განმავლობაში?

ამაზე პასუხს იძლევა ცეკავშირის მოკავშირეთა ბიუროს სესია, რომელიც მოწვეული იყო 5 მაისს და გასტანა 8 მაისამდე. აქ ახალი გამეორება წარსდგა მოხსენებით, რომელშიაც დაწერილებით არის აღნიშნული, თუ რა ძნელ გზა ქონდა გასავლელი ცეკავშირს და რა შედეგებს მიაღწია მან ამ ხნის განმავლობაში.

ჩვენს პარტიას საბჭოთა ნაციონალურ ფაშისტებმა, რომელნაც ამ ეკონომიურ ფრონტზე ბევრ ადგილებში ბატონობენ, ბრალად დასდეს, ეს ბრალდება ეფუძნებოდა ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ ავიღეთ ეკონომიურ ფრონტი, ვერ ავაშენეთ ეკონომიური ორგანიზაციები, ვერ ავაყენეთ ეკონომიური ცხოვრება, ვერ ავაშენეთ ეკონომიური ბაზა, ვერ ავაშენეთ ეკონომიური ბაზა, ვერ ავაშენეთ ეკონომიური ბაზა

ინგლისის ნოტის გ`რშემო

ინგლისის პარლამენტში.

ლონდონი. 10 მაისი ინგლისის ულტიმატუმმა რუსეთის მმართველობა აუარ-ზაური გამოიწვია ინგლისის პარლამენტში. ბალდვინი იძულებული გახდა ალეოქა კამათის გახსნა ამ საკითხზე უახლოეს სხდომაზე ერთი დღით ადრე ულტიმატუმში აღნიშნული ვადის გასვლამდე ინგლისის მთავრობას საკმე ექნება მუშათა პარტიის და ორივე ლიბერალური პარტიის და აგრეთვე კონსერვატორების ნაწილის გაერთიანებელ ოპოზიციას.

პარლამენტის შრომაცილები ფინაალმდეგი არიან კავშირის გაყოფეტის.

ლონდონი. 10 მაისი. მუშათა პარტია პარლამენტში არა მარტო პროტესტს განაცხადებს რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვს საბჭოთა მთავრობის სრულ ცნობას. ლიბერალები და აგრეთვე კონსერვატორების ნაწილი რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგია.

ინგლისის ხ`ზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის.

ლონდონი. 10 მაისი. ინგლისის პარლამენტის გარეშე მყოფი საზოგადოებრივი აზრი ძალიან შეწუხებულია შექმნილ მდგომარეობით. **ყველა პარტიების დეპუტატები დაგვირთული არიან ვაჭრებისა და მწარმოებლების წერილებით და აგრეთვე საბაჭო პალატების რეზოლიუციებით, რომელნიც პროტესტს აცხ დებენ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის წინააღმდეგ.** რეზოლიუციები აღნიშნავენ, რომ დამოკიდებულების შეწყვეტა დაღუპავს რუსეთის ბაზრის გამოცოცხლების ყველა იმედებს. ინგლისის მთავრობას აგონებენ, რომ ბონარ ლოუმ დაპირება გამოსთქვა კამათის გახსნის შესახებ პალატაში, სანამ მიღებული იქნებოდა ნაბიჯები რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტისაკენ მიმართული. **კერზონმა დარწმუნა ეს დაპირება, როდესაც გაუგზავნა რუსეთს მემორანდუმი, რომელზედაც პალატას არ ჰქონია წინასწარი მსჯელობა.**

კერზონმა ვერ გამოიანგარიშა.

ლონდონი. 10 მაისი. „დეილი გერალდი“ იტყობინება, რომ პარლ. მენტის წევრების უმრავლესობა მოითხოვს კონფერენციის მოწვევას საფრანგეთ-ინგლისის კონფლიქტის გადასაწყვეტად. მთავრობა მომზრეებიც კი კიცხავენ ინგლისის ნოტას. „მანჩესტერ გარდიენის“ ცნობით **ყველა პოლიტიკურ ფრაქციების წევრები ენერგიულ პროტესტს ღებულობენ თავის ამრჩეველთაგან ნოტის შესახებ.** ოპოზიციონური განწყობილება პალატაში დიდია. ფიქრობენ, რომ კერზონმა ისარგებლა პრემიერის არყოფნით რომ თავისი ხაზი გაეტარებია.

ინგლისის კანონერკა რუსეთის წყლებში.

ლონდონი. 10 მაისი. გაზეთის ცნობით ინგლისის ტრალერის „ლორდ ასტერ“-ის დაჭერის გამო ინგლისის მთავრობამ თეთრ ზღვაში გაგზავნა კანონერკა „ერბელ“-ი.

რატომ?...

ლონდონი, 10 მაისი. თემთა პალატაში ინგლისის გემების დასაცავად ფრანის წყლებში ინგლისის კანონერკის გაგზავნის საკითხზე მკჯელობის დროს, დეპუტატმა ლენსბერიმ მთავრობის მიმართ შეკითხა: „**რატომ თქვენ ფლოტს ნიუ-ორკში არ გზავნით ინგლისის გემების დასაცავად ამერიკელების ძალადობისაგან** თავის დასაცავად, რასაც არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინიათ ამერიკის“. ბურჟუაზიულ დეპუტატების ობსტრუქციამ ხელი შეუშალა დეპუტატ ლენსბერის დაემთავრებია თავისი სიტყვა.

ზღვის კონდრანდნიტეტი.

მურმანსკი. 9 მაისი. 7 მაისს ჩრდილოეთ ოკეანეში ნავთსადგურ ნიხსარაიონში ნაპირიდან 4 მილის მოშორებით რუსეთის მოდარაჯე გემების „სოკოლიცა“ და „№ 23“ მიერ შემჩნეული იყო ორი ტრალერი, რომელნიც თევზს იჭერდნენ. ჩვენი გემების მ ახლოებისას ტრალერებმა უკან წასვლა დაიწყეს, მ ეუბეოავთ იმისა, რომ მიცემული იყო ნიშ.ნი გაჩერების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო უფლების მოთხოვნილებების თანახმად, გემები უნდა გაჩერებულიყვენ. „სოკოლიცამ“ ფშუტეტყვია გაისროლა, რომელზედაც გემები მაინც არ გაჩერდნენ. მიუხედავათ ამისა „სოკოლიცა“ დაეწია ტრალერს, რომელიც ინგლისელების აღმოჩნდა „ლორდ ასტორ“-ის სახელწოდებით. ეს ტრალერი მოყვანილ იქნა მურმანსკში. მეორე გემი მიმალა.

ვინ არიან ეს ინგლისის „მოკალაქენი“.

ნიუ-იორკი. 10 მაისი. ამერიკელმა ჟურნალისტმა ქალმა მარგარიტა გარისონმა, რომელიც ორჯერ იყო დატუსაღებული რუსეთში 1922 წ. და შემდეგ განთავისუფლებული, ამას წინათ სახალხოთ განაცხადა, რომ **ის მოვიდა რუსეთში, როგორც ამერიკელ სამხედრო დაზვერვის აგენტი.** თავის დროზე ამერიკის ბურჟუაზიულ პრესასა მოყავდა ამ გარისონის დატუსაღების ამბავი, როგორც ბოლშევიკების „მხეცობის“ დამატკიცე ელი საბუთი. ეხლა კი თვით გარისონი აცხადებს: **ბრალდებანი, რომელნიც საფუძვლად დაედვენ ჩემს დატუსაღებას იმდენად არსებითნი იყვნენ, რომ ახლანი ყოვლგვარ ეჭვის გარეშე აშკარავდებენ ჩემი მოღვაწეობის ხასიათს.**

მეტათ საინტერესოა აგრეთვე გარისონის ცნობები ინგლ ელ ჯაშუშ ქალის გარდნგის შესახებ, რომელიც ნახსენებია ინგლისის უკანასკნელ ნოტაში. გარიგსონი ამტკიცებს, რომ გარდნგი ჯაშუში იყო, რომელიც, როგორც ინგლისის სამხედრო დაზვერვის აგენტი წინეთ გერმანიაში მუშაობდა, საიდანაც რუსეთში ჩამოვ და და აქ იქნა დატუსაღებული რუსეთის ხელისუფლების მიერ, რომელსაც უკვე წარმოდგენა ჰქონდა მასზე, როგორც ჯაშუშზე.

ამბ. კრასინი ინგლისის ნოტის შესახებ.

მოსკოვი. 11 მაისი. როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს ამბ. კრასინმა სთქვა, რომ ინგლისის ნოტის ტონი ამტკიცებს, რომ კერზონის პარტიამ, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წ. იყო წინააღმდეგი საბჭოთა რუსეთთან ყოველ-გვარ ხელშეკრულების დადებისა, საბოლოოდ გაიმარჯვა და გადაწყვიტა სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა, მიუხედავათ არა მარტო მუშების, არამედ შრავალ ლიბერალურ და მწარმოებელთა წრეების პროტესტისა. მე მონდობილი მაქვს, სთქვა ამბ. კრასინმა, საჩქაროდ გავეგზავრო ლონდონში საჭირო ზომების მისაღებათ ჩ ენი ინგლისში მყოფ სავაჭრო აპარატების მოსალოდნელ ლიკვიდაციისათვის. სავაჭრო

კაშენის შეხვედრა

პარიზი. 9 მაისი. კაშენისა და კულტურიეს მიერ შეტანილი წინადადების — ხალხმწოფა გადატრიალების შეხახებ საკითხის განხილვა პალატამ გადადო, მემარცხენე დეპუტატებმა აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართეს კაშენს.

პუანკარემ ირონიით მოიხსენა კომუნისტების მიერ შეტანილი შეკითხვები, მაგრამ კომუნისტებმა აიძულეს ის ბოდიში მოეხადა.

საფრანგეთი უკმაყოფილოა ინგლისით.

პარიზი. 10 მაისი. **საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა კერზონის განცხადებით პარლამენტში იმის შესახებ, რომ გერმანიის წინადადებები შედეგია მის მიერ წარმოთქმული სიტყვის.**

„ინფორმასიონ“ სწერს, რომ „**დიპლომატები იმეორებენ ომის დროს დაშვებულ შეცდომებს**“.

გაზეთები აიმედებენ თავს, რომ ინგლისის ნოტა გერმანიისადმი ალ`დგენს მოკავშირეების ერთიან ფრონტს.

„დიდი კოალიციის“ წინააღმდეგ

ბერლინი. 10 მაისი. ბერლინის ბევრ მხხვილ ხაჭარმოო დაწესებულებაში მუშებმა საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს სოციალ-დემოკრატების მიერ პრუსიის ლანდტაგში დაჭერილ პოზიციის წინააღმდეგ.

კომპარტიის რაიონული კომიტეტი მოუწოდებს მუშებს მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციებში პრუსიის ლანდტაგის საქციელის, „დიდი კოალიციის“ და რურის გაყიდვის წინააღმდეგ.

მუშ გი იცავენ კომუნისტებს

ბერლინი. 10 მაისი. **გუშინ ლანდტაგი აიგხო ბერლინის მხხვილი ხაჭრეწველო დაწესებულებების დელეგაციებით. დელეგაციებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ლანდტაგიდან კომუნისტების გაძევების გამო. 11 მაისისთვის მოწვეულია საკარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ხაბჭოს საერთო კრება, რომელზედაც მოწვეულია ლანდტაგის კომუნისტური და ხალიელ დემოკრატიული ფრაქციების თითო წარმომადგენელი.**

„მუშათა პარტია“!

პარიზი. 10 მაისი. **ბელგიის მუშათა პარტიის გენერალურმა საბჭომ მიიღებლად აღიარა გერმანიის წინ დადებები და განაცხადა, რომ ის ამ აზრის დაიცვ ს 2 და 2 ნ.ხევარ ინტერნაციონალების კონგრესზე ჰამბურგში.**

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

ამბ. ჟელეინმა შიმფილოგა გამოაცხადა

პარიზი. 12 მაისი. **ციხეში დატოვებულმა გერმანიის რეიხხეგაგის დეპუტატმა კომუნისტმა ჟელეინმა შიმფილობა გამოაცხადა.**

გერმანია

დიდი ამბების წინ

ბერლინი. 9 მაისი. კონფლიქტმა ბერლინერ ტაგებლატის და ადმინისტრაციის შორის მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. რაკინსგზელებმა დემონსტრაცია მოახდინეს დირექციის ხარჯებიც შესაფერად ჯუსწორ მა წორი იყო, დეკემბერში გვეხდებოდა აპარატის რეორგანიზაცია. მოსამსახურეებისთვის ჯამაგირის მიცემა. ზოგი მოსამსა ურეების ლიკვიდაცია, ამ.ს ყველაფერს დასჭირდა ათასობით ფულის ხარჯვა. შემოსავალი კი იყო მაგ. იანვ.რში 800 მ.ნეთი. მდგომარეობა ასეთი იყო, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ეს იყო დროებითი და კიდეც ჩვენ გაგვიმართლდა იმედი. ეხლა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმავე ტემპით გაგრძელდება მუშაობა მომავალში და მივ ღწევთ სასურველ შედეგს.

ანდიეი სხვა და სხვა ოპერაციებიდან.

ამავე დროს ცენტროსოიუზთან ჩვენმა მოლაპარაკებამ გამოიღო ნაყოფი იმ მხრივ, რომ ჩვენ გავვეხსნა კრედიტი, 150 000 მ. ოქ, რუსეთის კოოპერ. ბანკმა 100 000 მ. ამ კრედიტის მიხედვით მივიღეთ საქონელი ზოგი მათგანი გზაში არის, ზოგი უკვე მივიღეთ, სულ 350,000 მანეთის. მაშასადამე ეს თანხა რასაკვირველია შედარებით გაიცხოველებს, აწყვეს ჩვენ სავაჭრო ოპერაციებს, წინ წასწევს მთელ ჩვენ მოქმედებას. ამაზე კიდევ ცალკე იქნება ლაპარაკი, ვინაიდან წესრიგში არის დასმული საკითხი მოსკოვიდან ჩამოსულ საქონლის რეალიზაციის შესახებ. სასოფლო სამეურნეო დარგებისათვის გახსნილია 100,000 მანეთის კრედიტი ამავე ცენტრო-სოიუზის მიერ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ხარჯები გახლავთ: 27,849 მანეთი, აქედან 15,176 მანეთი ჯამაგირებზე დაიხარჯა, რაც შეადგენს ხარჯების 60 პროცენტს, ხოლო 12,672 მანეთი კი სხვა ხარჯებს მოუნდა. მთელი ეს ხარჯი წადგენს საქონლის ბრუნვის თითქმის 16 პროცენტს. უნდა ვთქვათ, რომ ჯერ ჯერობით ვერ მივაღწიეთ სასურველ ნორმას ბრუნვასა და ხარჯების შუა დამოკიდებულებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ამ ოპერაციებს ვერ გავაკეთებდით რომ ნდობა არ გვქონოდა და, რომ არ ყოფილიყო ერთგვარი კეთილგანწყობილება სხვა

ანდიეი ოპერაციებიდან.

სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან, როგორც სასურსათო და მიწადმოქმედების კომისარიატი, სახ მეურნეობის უ. საბჭო. მიწადმოქმედების კომისარიატმა გადმოგვცა გოგირდი, შაბიამანი, ს. მ. უ. ს. სათბობმა განყ. გადმოგვცა ნავთი, სასურკომიდან მივიღეთ სხვა და სხვა საქონელი.

ნავთის ოპერაცია.

სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან დამოკიდებულების დროს მოვახერხეთ ზოგი საგნები სამონოპოლიოთ აგვეღო, მაგალითად ნავთი და თუ საესებით ვერ მოვახერხეთ ყველა საგნები ხელში აგვეღო, ამაში დამნაშავეა არა მარტო კომისარიატები, არამედ უფრო მეტად თვითონ ჩვენ. მაგალითად მათ ნავთი გადმოგვცეს, არჩევანიც მოგვცეს, პირველად ის რაიონი აგვეღო, სადაც უფრო ხელს გავაწვდენდით. ასეთი იყო: გორი, სამტრედია და სხვა ისეთი ადგილები, სადაც ჩვენ განყოფილებები მოგვეპოვებოდა, მაგრამ აქ ჩვენმა მოიწყობლობამ ინინა თავი და როცა ვიკვეხდით, ჩვენი აპარატი იაფი და იოლია, ჩვენ ნავთი უფრო იაფად დაგვიჯდება და უფრო იაფად მიუვა მომხმარებელს—ეს ასე არ გამოვიდა, იმიტომ, რომ შესაძლებელია ეს ნავთი მომხმარებელს მართლაც იოლად მიუვიდა, მაგრამ ჩვენ იქიდან აღარაფერი მოგვვიდა.

ჩვენი კასა კი თავდებია სათბობი განყოფილების წინაშე და ცეკავშირი მოვალეა უზრუნველყოს იგი. ჩვენ დღესაც არ ვიცით რამდენი ზარალი გვექნება ამ საქმეში, რადგანაც დღეს ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი იწვევს ზარალს. ჩვენ გარიგებული ვართ ისეთი პირობით, რომ ყოველი ტელეგრამის მიღების დროს, როდესაც ჩვენ მივიღებდით ფასების მომატების შესახებ, ჩვენ უნდა შეგვეტყობინებია რამდენი გვქონდა გაყიდული და რამდენი დაგვრჩა გასაყიდი, ამის მიხედვით გაგვესწორებია ანგარიში და მაშინ ჩვენ აღარ გადვიხდით გაყიდულ ნავთში მომატებულ ფასს. ჩვენი რაიონული განყოფილებები კი მოიყრუებდენ ყურს

ინგლისი ნიუ-იორკელ ბანკირებზე

ლუზონის თეორიას თავის ამ ახალ სახით აქვს ნაციონალური ხასიათი და უარყოფს ინტერნაციონალის შესაძლებლობას. ლუზონი ჯიუტობით უფლის საკითხს: რა უყოთ იმ როლს, რომელსაც შრომის საერთაშორისო კონფერენცია თამაშობდა ომის დროს.

შემდეგ, უნდა თუ არა ლუზონს შრომის ორიეე კონფედერაციის გაერთიანება?

ინტერნაციონალი ამას საჭიროდ სთვლის. ჩვენ რევოლიუციის საქმის დიდ მოქმედებათ ჩავთვლიდით უფრო ფართო სინდიკალისტურ ორგანიზაციის შექმნას და უფრო მრავალრიცხოვან პროლეტარულ მასსების გაერთიანებას, როგორც კომუნიზმის იდეის და ტაქტიკისათვის ბრძოლის უფრო ფართო არენას. ამისათვის კი საჭიროა, რომ კომუნიზმის იდეები და ტაქტიკა ჰაერში კი არ ეკიდოს, არაშედ მოწყობილი იყოს პარტიის სახით.

თეხვის ფრონტზე

სარატოვი. 9 მაისი. ვოლსკის მაზრაში ნათესების სავრცე გადიდებული იქნება. ცოცხალ ინვენტარის რაოდენობა მაზრაში 30 პროც. გაიზარდა. კამიშინის მაზრაში ნათესების სივრცე 25 პროც. გადიდდა.

ორენბერგი. 9 მაისი. ნათესების მდგომარეობა ორენბერგის გუბერნიაში დამაკმაყოფილებელია. თესვა კარგად ჩატარდა. დაუთესველობა არ არის.

სერნოვოდსკის კურორტი

სამარა. 9 მაისი. 1 ივნისს სამარის გუბერნიაში იხსნება სერნოვოდსკის კურორტი.

ამურზე

ხაბაროვსკი. 9 მაისი. ხაბაროვსკში შესდგა საბჭოთა მთავრობისათვის ხელის შემწყობ ჯგუფების სამაზრო ყრილობა. პრიამურის გუბერნიაში არის ასზე მეტი ასეთი ჯგუფდები. ყრილობამ მოწოდებით მიმართა ამურის გლეხობას, სადაც ურჩევს მათ მოსალოდნელ საბჭოების არჩევნებში კომუნისტებს მისცეს ხმა.

მუშათა კოოპერაციის გამაგრება

ახალი-ნიკოლაევსკი. 9 მაისი. ციმბირის კავშირის რწმენებულთა ყრილობამ გამოიმეშავა მუშაობის სწორი გეგმა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა კოოპერაციის გამაგრებას. ციმბირის ცენტრო-კავშირის ბალანსი 1918 წ. გამოიხატა 15 მილ. მანეთში ოქროთი.

უცხოეთის ცხოვრება

უმუშევრობა გერმანიაში.

გერმანიაში. თებერვალში გრძელდებოდა გაუარესება მუშთა ბაზარზე, თუმცა ღა უმუშევრობის ზრდა ნელი ტემპით ხდებოდა. 5585 საავადმყოფო კასების წევრთა, ესე იგი წარმოებაში ჩაბმულ მუშების საერთო რიცხვი თებერვლის განმავლობაში შემცირდა 59762-თ. პირდაპირ ცნობებს უმუშევრობის ზრდის შესახებ იძლევა პროფკავშირების სტატისტიკა. ამ ცნობების მიხედვით იანვრის ბოლოს ირიცხებოდა 252,873 უმუშევარი, ხოლო 24 თებერვალს უკვე—319,117. უმუშევართა პროცენტი გაიზარდა 4,4-დან 5,7 პროცენტამდე.

20 წლიდან დაწყებული 23 წლის თებერვალი საზოგადოდ წარმოადგენს უმუშევრობის კულმინაციურ პუნქტს. განსაკუთრებით აუტანელი მდგომარეობაა თამბაქოს წარმოებაში განადგურების კრიზისის გამო. უნდა ითქვას, რომ ცნობები აშკარა უმუშევრობის შესახებ არ იძლევა სრულ წარმოდგენას შრომის ბაზრის ნამდვილ მდგომარეობაზე გერმანიაში, სადაც ამ ჟამად ადგილი აქვს წარმოებებში სამუშაო დროს შემცირებასთან ერთად მუშების წინანდელი რაოდენობის დატოვებას ამ მოულენას ემჩნევა განვითარება თებერვლის განმავლობაში. თებერვლის ბოლოს 35 კავშირში, რომლებშიაც შედის 4,77 მილ. წევრი, მუშაობდა შემცირებულ სამუშაო დროს 786,374 წევრი, ესე იგი 16,5 პროც. ასეთი მუშების მეტი პროცენტი ხვდება ფეხსაცმელის მოხელეებს (62,2 პროც.), ფეიერები შეადგენენ 43,8 პროც., მეთამბაქოეები 40,5 პროც.

შრომის მთავარ ბირეებზე უმუშევართა აღწერა 16 მარტს იძლევა 193.311 უმუშევარს, რომელთაგან 165,509 მამაკაცია და 27,802 ქალი.

ინგლისში. თებერვლის მეორე ნახევრის და მარტის პირველი ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა უმუშევრობის დაცემა, 22 წლის იანვრის ბოლოს უმუშევართა რიცხვი შრომის ბირეის ცნობების მიხედვით უდრიდა 1,925,950 კაცს, 23 წ. იანვრის ბოლოს—1,460,000, ხოლო თებერვლის ბოლოს—1,376,000. 19 მარტს უმუშევართა რაოდენობა უდრიდა 1,260,500 კაცს.

პროფკავშირების სტატისტიკაც სწორედ ასე აღნიშნავს უმუშევრობის დაცემას. პროკენტული შეფარდება უმუშევრებისა პროფკავშირების საერთო რიცხვთან შეადგენდა თებერვლის დასასრულს 13,1 პროცენტს. საალმენეგლო და თამბაქოს წარმოებათა მუშებს შორის აღგილი აქვს უმუშევრობის მცირეოდენ ზრდას წარსულ წელთან შედარებით.

საერთოდ კი უმუშევრობა, მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, მაინც რჩება მთავარ ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს ინგლისის თანამედროვე კონიუნქტურაზე.

საფრანგეთში. შრომის ბირეის ცნობების მიხედვით უმუშევართა რიცხვი ოდენობა 24 [illegible] 11,922, რომელთაგან [illegible] ია და 3251 ქალი. საფეპარტამენტო და მუნიციპალურ ფონდებიდან დახმარებას 1 მარტს ღებულობდა 2813 კაცი.

ბელგიაში. შრომის და მრეწველობის სამინისტროს ცნობით შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. იანვრის ბოლოს სრულ და ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვი აღწევდა 25,514-დე.

შვეიცარია. უმუშევართა რაოდენობის შეფარდება პროფკავშირების წევრთა საერთო რიცხვიდან 22 წლის დეკემბრის დასასრულს შეადგენდა—21,7 პროცენტს, ხოლო 23 წლის იანვრის დასასრულს—34,9 პროც.

ᲛᲔᲢᲘᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

სომხეთი

ამბ. ლუკაშინის დაბრუნება.

ერევანი. 11 მაისი. 10 მაისს საღამოს დაბრუნდა მოსკოვიდან სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამბ. ლუკაშინი.

პროფკავშირთა ყრილობა.

ერევანი. 11 მაისი. დღეს გაიხსნება სომხეთის პროფკავშირთა ყრილობა.

ხაბაერო ფლოტის შექმნისათვის.

ერევანი. 11 მაისი. სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალურ აღმასკომის მოსამსახურეებმა გამართეს საჰაერო ფლოტის ფონდის სასარგებლოთ საღამო, რომელზედაც წმინდა შემოსავალი დაჩრა 94,000,000 მანეთი.

მუშათა პრესა.

ალექსანდროპოლი. 11 მაისი. ალექსანდროპოლის გაზეთი „შირაკი რანჩარ“-ი გამოვა გადიდებული ფორმატით.

ქალაქის აღწერა.

ერევანი. 11 მაისი. ყველა სამაზრო ცენტრებიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის აღწერა წარმატებით მიმდინარეობს მცხოვრებლები დიდი თანაგრძნობით ხვდებიან აღწერას.

განათლების მუშაკთა ყრილობა.

ეჩმიაძინი. 11 მაისი. ეჩმიაძინში გაიხსნა განათლების მუშაკთა სამაზრო ყრილობა.

მეაბრეშუმეობა და მეგამბეობა.

ერევანი. 11 მაისი. მენრინის რაიონიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივმა აღმასკომმა დაურიგა გლეხობას 3,000 მისხალი აბრეშუმის თესლი.

სოორგანიზაციო მუშაობა მეგამბეობის განთავისუფლებისათვის მენგრინის რაიონში თავდება. მოელიან 2,500 ფუთ ბამბას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ა. წ. 15 მაისს, დღის 12 საათზე საგიტ. საპრ. განყოფილების ბინაზე დანიშნულია თ. კ. საგ.-საპრ. განყ. კოლეგიის წევრების თათბირი.

დღის წესრიგი:

1) საკ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილების და პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების ანგარიში.

ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

საგ.-საპრ. განყ. გამგე: ეხსენი.

— ფინადადება ეძლევა ნესტორ გოგოლაძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცენტრალურ კომიტეტის საარიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებაში.

ცენ. კომ. საარ.-სასტატ. განყოფილების გამგე: ლიციონოვი.

საქალაქო კრება

კ. ტფილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა კომუნისტ სტუდენტებისა, დანიშნული კვირას, 13 მაისისთვის, გადაიდო.

შემდეგი კრება ცალკე გამოცხადდება.

კომუნ.-შრომის ცენტრ. ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: ხტეფანოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინფორმაციო

განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ ამხანაგებს, ვინც კი ჩაწერილია ტფილისის კომიტეტში, ორშაბათს, 14 მაისს გამოცხადდენ საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებაში.

ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება უმუშევართა სიიდან.

საორგ.-საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგიერ ი. ჯანელიძე.

კოოპერაციის საკვირეულისათვის

ცეკავშირის გამგეობის მოლვაწეობა.

(**ამბ. მ. ტოროშელიძის მოხსენება ცეკავშირის ხესიაზე**).

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 106).

საკავშირო ოპერაციები.

რასაკვირველია გამეორამ გაანაწილა თავის წევრთა შორის ფუნქციები, შეიქ ნა დარგები: სავაჭრო, საწარმოო, ფინანსიური, ორგანიზაციული დარგები და ჩაებარა თვითეულ გამგეობის წევრს, რომელიც თავის პა ბუნებ �ელობით ეწოდა მუშაობას, პრინციპიალურ საკითხებს სვამდა გამგეობაში და მიმდინარე საქმეებს აწარმოებდა საკუთრად უმთავრესი ჩვენი მოქმედება არის საგაჭრო დარგის, და თუ ვერ მოვახერხებდით ამ დარგის გაცხოველებას და გაღვიძებას, რაც უნდა ქარხნები შეგვეძინა, ეს ჩვენი მუშაობა დარჩებოდა ისევ განუვითარებლად და ჩვენ უმთავრეს მიზანს, მ.ნრომელ გლეხობასთნ დაკავშირებას, ვერ მივალწევდათ და ამ მხრივ ჩვენი მუშაობა მუქთი გამოდგებოდა. ჩვენ გვიხდოდა გ`მოგვეცოცხლებია ეს დარგი და კოოპერატივებისათვის მიგვეწოდებია ისეთი საგნები, რომელიც მათ ესაჭიროებათ. ამისთვის საჭირო იყო ისეთი ფონდის შექმნა, რომელიც ცხოველ-ყოფელ სისხლად დაუფლიდა ჩვენი კოოპერატივების მიმ.ვდარებულ ძარღვებს და მათ სასიცოცხლოდ ადამძრავებდა. ეს ამოცანა სავსებით გადაწყვეტილი არ არის დღესაც და თქვენი ამ სხდომის ერთადერთი ამოცანა იქნება ამ საკითხის გადაჭრა. მაშასადამე სავაჭრო ოპერაციები მოითხოვდა მთელ ჩვენ ყურადღებას. სავაჭრო ოპერაციების გასაცოცხლოდ, რასაკვირველია, 90.000 მ. ოქროს ო�edთ ყოფნა შეუძლებელია და აქედან კიდევ საკმაოდ საგრძნობი ნაწილი წვიდა დაუბრუნებელ ხარჯებში. და მხოლოდ 45 პროც. სავაჭრო ოპერაციებში.

ეს ოპერაციები ისეთი ხასიათისა იყო, რომლებიც ჩვენგან თხოულობდენ რუსეთის ცენტრთან კავშირს, რომ შეგვძლებოდა საძოსლის მიღება და ამისთვის საჭირო იყო ფული მოგვეხმარა ისეთ საქონლის შეძენაში, რომელიც ცენტრისთვის მოგვეწოდებინა და იქიდან მიგვეღო მაგიერი საქონელი. ეს დიდ დროს მოითხოვდა, მაგრამ ჩვენ ეს მაინც შეძლებისდაგვარად ცოვაწყვეთ, გავიტანეთ ბორჯომის წყალი, ღვინო, ყველი და სხვა, მაგრამ დღესაც არ მიგვიღია ამის მაგიერი საქონელი. მართალია საქონელი მოდის, გზაში არის, ნაწილი მოსულიც არის, მაგრამ დღეს ხელთ არა გვაქვს. იძულებული ვიყავით ჩვენ ამ მცირეოდენი ჯამით, ნდობით, კრედიტით და სხვა ოპერაციებით ცოტაოდენი რამ შეგვეძინა და დაგვეხავებია, რომ ჩვენ ვმუშაობთ, რომ ცეკავშირმა მუშაობა დაიწყო, ამისათვის გვიხდიდოდა ჩვენ ბევრნაირ დაბრკოლებებთან ბრძოლა.

საბოლოოდ ჩვენმა მუშაობამ ისეთი შედეგი მოგვიტანა: სულ 1 მაისამდე დაწყებული დეკემბრიდან გაყიდულია 177 000 ან. ოქროთი. აქედან უნდა გამოვყოთ თვეები, მაგალითად იანვარში გაყიდულია საქონელი სულ 800 მან. ოქროთი. აქედან ხედავთ თუ როგორ მიდუნებას განიცდიდა ცეკავშირი პირველ თვეს. თებერვალში 10 000 მან მარტში 5.000 ე ე იგი იანვარში, თებერვალში, და მარტის პირველ ნახევარში გაყიდულა სულ 16 000 მანეთამდე ღირებულების საქონელი და მარტის მეორე ნახევარში და აპრილში დანარჩენი 161.000 მ. ამ ხნის თქვენ ხედავთ, რომ გაცილებით დიდი ნაბიჯი არის გადადგმული უკანასკნელ თვეებში. სწორედ

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

რუსეთი

ერთხელ კიდევ ანარქო-სინდიკალისტურ ცრუმორწმუნეობაზე

მოსკოვი. 11 მაისი. „პრავდა“-ში მოთავსებულ წერილში „ერთხელ კიდევ ანარქო-სინდიკალისტურ ცრუმორწმუნეობაზე“ ამბ. ტოროცკი უპასუხებს ლუზონის ახალ წერილს.

თავის განმარტებაში, სწერს ამბ. ტროცკი, ლუზონი სტოვებს უნივერსალურ კანონების მერყეე ნიადგს გ, ცდილობს ფრანგულ სინდიკალიზმის ნაციონალურ ნიადაგზე დადგომას. დაიწყო რა ფართო განსაზოგადოებრივობით და გზა-გზა დგადაქცია რა პარკსი სინდიკალისტათ, ლუზონი ეხლა სტოვებს ინგლისს, რუსეთს და გერმანიას. ლუზონმა დაიწყო „ზე-ისტორიული“ კანონიდან ყველა ქვეყნებისათვის და გაათავა მით, რომ საფრანგეთისათვის თხოულობს განსაკუთრებულ კანონის ცნობას.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲜᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲣᲤᲐᲥᲩᲣᲠᲘᲡᲐᲪ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲜᲐᲡ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

კომკავშირის უჯრედის მუშაობა კავოს სახელობის ქარხანაში.

კომუჯრედში ითვლება სულ 17 კაცი მათში ოთხი მიმგრგებული ამხანაგი, 10 წევრი და 3 კანდიდატი. კრებები რეგულიარულათ ხდება ორშაბათობით დღის 12 საათზე, პარტდისციპლინა მტკიცეა. უჯრედთან არსებობს პოლიტიკური წრე, რომელშიდაც მეცადინეობა სწარმოებს სამშაბათობით. ხელმძღვანელ ინსტრუქტორის მოხსენებებს დიდის ინტერესით ისმენენ წევრები, მოხსენებებს ამზადებენ თვით წევრებიც. საქარხნო კომიტეტთან რომელშიდაც კომუჯრედს თავისი წარმომადგენელი ყავს, დამოკიდებულება კარგია. უჯრედის გავლენა უპარტიო მასსაზე დიდია.

7 მაისს ამბ. ქამალოვისამ გააკეთა მოხსენება კომკავშირის როლი სოფელთან კავშირის საქმეში მოხსენების შემდგ. უჯრედმა ერთხმად დადგინა ეთხოვოს კომკავშირის ტფილის ის ორგანიზაციის მეორე რაიკომს მისცეს მას შეფობა რომელიმე სოფელზე. ამნაირათ კომუნისტური ახალგაზრდობა მტკიცედ დაუკავშირდება მშრომელ გლეხობას და გაიზიარებს მის ჭირვარამს.

ნ. ვ.

სამტრედია.

კვირას 29 აპრილს პარტკომის კლუბში მოხდა კრება სამტრედის ქალაქის პოლიტ-წრის წევრებისა—რომელსაც დაესწრო 20 ამხანაგი.

თავმჯდ. აირჩიეს ამხ. მაისურაური.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1) პოლიტ-წრის პრეზიდიუმის არჩევა. 2) სამაზრო კონფერენციაზე დელეგატების არჩევნები.

პირველათ ილაპარაკა ამხ. გ. ნადირაძემ, რომელიც შეეხო საერთოდ პოლიტ-წრის მნიშვნელობას და აღნიშნა თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოვოს შემდეგში პოლიტ-წრემ. აირჩიეს პრეზიდიუმი: ამხ. მაისურადი, ელ. კიკაჩეიშვილი და გრ. ნადირაძე.

დელეგატებათ სამაზრო კონფერენციაზე, რომელიც უნდა მომხდარიყო 5 მაისს არჩეულ არიან ამხ. მაისურაური და ელ. კიკაჩეიშვილი.

ხან-კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ბალიუტის კურსი თბილისში.
(12 მაისი)

ოქროს 10 მან.—16,100 ათასი.
ჩერვონეცი — — 9.850 ათასი.
გერ. სტერ. (ჩეკ.) 8,500 ათასი.
დოლარი „ 1,900 ათასი.
ოსმ. ქაღ. ლირა— 1,425 ათასი.

ქვეყნიური ლითონების კურსი.
(12 მაისი)

ოქრო 96 სინჯ. მისხალი—3 მან. 80 კაპ. ოქრო 56 სინჯ.—1 მ. 80 კ. ვერცხლი 84 სინჯ.—7 კ. 1 მან. ბანკის (ვერცხლი)—43 კაპ. ხურდა ვერცლის ერთი მანეთი—18.5 კაპ.

ბალიუტის ბაზრის მანფუსტესტა.
(11 მაისი)

ჩერვონცებზე დღეს უფრო შესუსტებულია. არის ჩერვონცების მიწოდება მოთხოვნილება არის ოქროზე, სტერლინგზე და დოლარზე.

ოფიციალური ბარგზეანი.
(11 მაისი)

შიბიამანი ინგლისური „კორონა“ ფუთი 4 მან. 15 კაპ. ფრანკო საწყობი გამყიდველის, 10 პროცენტი შეღავათი ტარაზე. შემდეგ მოხდა გარგეეა მზისუშრირას ზეთზე: ფუთი 6 მილ. მან. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, გამყიდველის ფრანკო-სადგური.

ფთილიანი მუშაათა კოოპერატივის ფასები.
(11 მაისი).

თეთრი პური—25. ფხვნილი შაქარი წევრთათვის—260 ათ. საპონი „ტოლე“—235 ათ. ადგილობრივი საპონი—235 ათ. წვრილი მარილი—40 ათ., ასანთი—20 ათ. ლობიო—18—25.

ნავთობეულეობა საძიებლის ბირაჟაზე.
(12 მაისი).

დღეს მარცვლეული და პურის პროდუქტები უეცრად გაძვირდა—განსაკუთრებით 1 ხარისხის ფქვილი, დანარჩენზე ფასები მტკიცეა. ქიმიურ საქონელის ბაზარზე განწყობილება გამოცოცხლებულია. ნედლი მასალის ბაზარზე გამოცოცხლებულია—მატყლზე და ბამბაზე.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(ბითუმად).

ფქვილი „ჟერუპრატა“—2300 ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—2000 ადგილობრივი—1100—1150. ყუბანის ხორბალი—1100—1150. ადგილობრივი ხორბალი—950—1000. ლობიო—700—1000. შაქარი რაფინადი ყუთი—32 ლირა. კარაქი 1 ხარ.—18000—19000, გადადუღებული ერბო 1 ხარ. 15000. თუშური ყველი—7500—11000. საბჭა უმაღ. ხარ.—4 მან. პერლოვის ბურღული—1600 ათ.

ს. ფ. უ. ს. საპეთოგადაო ბანკოფილესაგი.

მოთხოვნილება შავ ქვაზე გერმანიიდან.

რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოების სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილებამ თხოვნით მიმართა ს. ფ. უ. ს. შეატყობინოს მას შავი-ქვის გერმანიაში ეკსპორტის პირობები. შეკითხვიდან სჩანს, რომ საზოგადოებას აზრათ აქვს შავი ქვის დიდი რაოდენობის ეკსპორტი.

შავი-ქვის კომისიის მუშაობა.

შავიქვის კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შავი-ქვის მიწების იჯარით გაცემის პირობების შესასწავლი მასალების შეგროვება, დამთავრა წინასწარი მუშაობა მთელი ჭიათურის რაიონის საერთო ცხრილი გვაჩვენებს, რომ მადანის მთელი ს

ეუბნათა სამეფინებელ

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს.

გახსოვდეთ აღნიშნავენ, რომ დღეს, 13 მაისს, დღის 10 საათზე დანიშნული გვაქვს ჩვენი რედაქციის შენობაში (კრუზენშტეინის კ. № 4—მე-3 სართული) მუშა-კორესპონდენტების მე-8 მორიგი კრება. კრებაზე დასწრება ჩვენი თანამშრომელ—მუშკორებისთვის სავალდებულოა, თანამგრძნობ მუშების დასწრება მეტად სასურველია.

ცენტრალურ მუშათა კლუბში.

ამა წლის 2 მაისს შესდგა აღნიშნულ კლუბის გამგეობის სხდომა, სადაც კლუბის გამგემ ამხ. ჭელიძემ გააკეთა მოხსენება კლუბის მოქმედების შესახებ ამა წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე. მოხსენებელი შეეხო კლუბის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია კლუბის ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკით მოსარგებლეობა რიცხვმა საანგარიშო დროის განმავლობაში იმატა 100 პროც. შემენილ იქნა 700-მდე ახალი წიგნი, რის გამო საკ. რო შეიქნა ახალი ოთახის მომატება და სპეციალური კაცის დაქირავებაც. უფრაგისი წიგნები აღარ არიან ხმარებაში. ც. კ., სახელმწიფო გამომცემლობა დასახ-განკომი იძლევიან წიგნებს ძალიან დაკლებულ ფასებში.

თეატრის დარგში გაკეთებულა შემდეგი:

შეძენილია ახალი დეკორაციები, ძველები გადაკეთებულ იქნა. თეატრის საზაფხულო სადგომში გადასვლასთანავე სცენა უფრო კარგად იქნება მოწყობილი. რომ სცენა უკეთესად სჩანდეს ყველასთვის, ეატაკი ცოტათი იქნება ამაღლებული. თვით თეატრი წარმატებით მუშაობს. იდგმება სხვა და სხვა რევოლიუციონური ხასიათის პიესები; ბილეთები იყიდება მუშებისთვის ხელისაწვდომ ფასებში და სხვა.

სტუდიის დარგში—გაკეთდა შემდეგი:

მოხდენილ იქნა სტუდიელების „წმენდა“. ვისაც სწავლა არ უნდოდა ან თავის ყოფაქცევით ჩირქს სცხებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ყველა ესენი დათხოვნილ იქმენ.

კლუბის ხარჯება შტატის შემოკლების გამო, საგრძნობლად შემცირდა და თვით სადგომის წვრილი შეკეთებაც შესაძლებელი შეიქნა. დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ბაღში, სადაც დარგულ იქნა 3000-მდე ხე. ბაღი შემკულია ყვავილებით და კიოსკებით. შეძენილია ელექტრონის წისქვილი 100 მანეთად—ოქროთი. გაცემულ იქნა იჯარით კლუბის კუთვნილი მამული.

მოხსენების მოსმენის შემდეგ გამგეობამ მადლობა გადაუხადა ამხ. ჭელიძეს ნაყოფიერ მუშაობისთვის.

მუშკორი ა. ნ.

ცენტრალური საარქივო სამმართველო

(ლენინის ქუჩა № 48).

ამ სამმართველოში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 50 კაცს, მათ შორის 35 კ. ირიცხება მუდმივ მონუშავედ და დანარჩენი კი დროებით მუშებად ითვლებიან. ამ უკანასკნელების რიცხვი განსაზღვრული არ არის, ვინაიდან ის სამუშაო მასალის რაოდენობაზეა დამყარებული; ამიტომ აქ ხან ემატება მუშათა ხელს ხან აკლდება. მუშა-მოსამსახურეების საერთო ეკონომიური მდგომარეობა, სამწუხაროდ, ცუდია. მათი ჯამაგირი თვეში საშუალოდ 10 მილიონ მანეთს არ აღემატება, რაც შეადგენს ცოლ-შვილიანი მუშებისათვის მარტო პურის ფასს, სხვა მოთხოვნილებებზე კი მათ ფიქრიც არ შეუძლიათ. „პაიოკი“-ს სახით ეძლევათ: ორ-ორი გირვანქა შავი პური დღეში, ლობიოს, ხორცს, შაქარს, და სხვას მუშები ღებულობენ არა სისტემატიურად, ასე რომ ამ უკანასკნელებს ისინი არც კი თვლიან „პაიოკად“. მიუხედავად იმისა, რომ შტატი, 35 კაცისაგან შემდგარი, საარქივო ცენტრ. სამმართველოს არც კი ყოფნის, მისი გადადებისათვის ზრუნვის მაგვრად სამმართველო ღებულობს ზომებს, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს შტატის შემცირება—5 კაცით, რომლებსაც უკვე მიეცათ წინადადება გამგის მიერ და რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ოფიციალურად დათხოვნილი. ყველასთვის ადვილი წარმოსადგენია მდგომარეობა ულუკმაპურო ქეზაში გაგდებულ მუშებისა, მით უმეტეს ასეთ ყოველ მხრივ გამწვავებულ დროს.

საჭიროა, ფრიად საჩქაროდ მიეცეს სათანადო ყურადღება ასეთ მოვლენებს, ვისგანაც ჯერ არს და დაცულ იქნას მუშის უფლება შეძლების და გვარად.

ინფკორ. ხ. შ.

მელიორნეებში.

1923 წ. 8 მაისს ს. მ. უ. ს. ლიათონის განყოფილების მე-3 ავტოსახელოსნოში შესდგა ამავე განყოფილების ქარხანა-სახელოსნოების და სამმართველოს მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 300 მუშა თანამშრომელი. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ვედიორკო. მდივნობდა ამხ. ბახტიაროვი. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ეკონ ი. ვარაბიოვის მოხ ენება ჭლეიქის შესახებ; 2) ამხ. ვედიორკოს მოხსენება „არაზინდორ“-ს სანატორიაზე.

ცენტრალურ ამბულატორიის გამგე ეკონ ვარაბიოვმა გააკეთა მოხსენება „ჭლექ“-ს შესახებ, რაც მუშა-მოსამსახურეების მიერ მოსმენილ იქნა გულმოდგინეთ და ინტერესით. მომხსენებელმა მკაფიო და მდაბიონით განუმარტა მსმენელებს „ჭლექი“, როგორც ავადყოფობა, საიდან წარმოსდგება, რა შედეგები მოსდევს და რომელ კატეგორიის მუშებზე უფრო ვრცელდება. ეკონ ვარაბიოვის მოხსენების ირგლივ იყო რამდენიმე შეკითხვა მუშებისაგან, მომხსენებელი აძლევდა დასაბუთებულ და დასურათებულ პასუხს. მუშების სახეში ამოიკითხავდა ადამიანი სიამოვნებას და აღტაცებას, რადგანაც ამგვარი სამეცნიერო მოხსენება ჩვენს მუშებში იშვიათია. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

მეორე საკითხზე „არაზინდოს“ სანატორიუმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვედიორკო, რომელმაც მუშა მოსამსახურეთ წაუკითხა პროფკავშირთა საბჭოს მოწოდება „არაზინდორ“-ს სანატორიუმის მოწყობის შესახებ დაავადმყოფებულ მუშა-მოსამსახურეთათვის. მომხსენებელმა განუმარტა დამსწრეთ, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ამ სანატორიუმის მოწყობა-მოწესრიგებას დაავადმყოფებულ მუშებისათვის. მუშა-მოსამსახურენი სიხარულით მიეგებენ აღძრულ საკითხს და ერთხმად გადასწყვეტეს—გადასდონ დღიური ხელფასი თავის პირველ ჯამაგირებიდან ამ დიად საქმის სასარგებლოდ და შეეროვილი ფული დაუყოვნებლივ გადაეცეს დანიშნულებისამებრ.

მუშკორი მელიორნე.

სამსახურიდან დათხოვნის ახალი ზომები.

ა. წ. 5 თებერვალს, მოქალ. ფერმერ გრიგორიანს დაუდგა შინა მოსამსახურედ ნაზაკი კარაპეტიანი: პირველად მისი სამსახურის საქმე კარგად მიდიოდა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ „ხაზინმა“ დაუწყო ეს ცუდად მოპყრობა, რაც გამოიხატებოდა შრომის ექსპლოატაციაში. ეს ვერ მოითმინა კარაპეტიანმა და მიმართა შრომის ინსპექტორს. ადგილკომმაც გამოიძახა გრიგორიანი, რომელმაც იგრძნო მომავალი საშიშროება, რისაგან თავის დასაზღვევად გამონახა საშუალებაც: გაეძევნა სამილიციო უბანში და განაცხადა იქ, რომ ის უკვე გაქურდულია მის შინა-მოსამსახურეს—კარაპეტიანის მიერ, რის შესახებ იქნა შედგენილი ოქმი. აპრილში გაირჩა მათი საქმე სახალხო სასამართლოში, სადაც გამოცხადდა ტინქლილიანი გაწითლებული ფერმერ გრიგორიანი, ის წინდაწინვე გაბარებული იყო, რადგანაც ხედავდა შიშს მის მოპირდაპირეში, მაგრამ ამაოდ. ამ მოპირდაპირესაც გამოუჩნდენ დამცველნი. სასამართლოში მოვიდა შრომის ინსპექტორი, რომელმაც მკაფიოდ განმარტა საქმის შინაარსი. სასამართლომ გაამართლა შინა-მოსამსახურე—კარაპეტიანი და გრიგორიანს მიუსაჯა მისთვის სრული ანგარიშის მიცემა. დღე, იყოს ეს მაგალითი გაკვეთილად იმათთვის, ვინც ამისთანა გზით'ცდილობს მუშების თაყვანიდან მოშორებას.

მე-2-ე რაიონის შრომის ინსპექტ. მდივანი მანველიანი.

ეურიდიული დახმარება

ამხ. მუშეებს.

კითხვა: რა რაოდენობით წესდება ბინის ქირა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიებით გადამხდელ მუშა-მოსამსახურეთათვის?

პასუხი: ბინის ქირა წესდება საცხოვრებელ ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე და მისი რაოდენობა განსაზღვრება ყველა კატეგორიებისათვის ძირითადი (თვეური) შრომის ხელფასის, ბინის ადგილმდებარეობის და სივრცე-სიდიდის მიხედვით შემდეგი განაკვეთით:

პირველი კატეგორია;

ამ კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი, ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მცხოვრებნი, საცხოვრებელ ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან საქონლის მანეთის—0,3 კაპეიკს, რაც ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით და აპრილისთვის საქონლის მანეთის ოფიციალური კურსით უდრის—2,910 მანეთს (ყოველ არშინზე); ის გადამხდელები კი, რომელნიც ცხოვრობენ ქალაქის განაპირა რაიონებში, საცხოვრ. ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან—0,2 კაპეიკს (საქონ. მანეთ.), რაც ამიერ-კავკ. ბონებით შეადგენს (ყოველ კვადრატიულ არშინზე)—1,940 მანეთს.

მეორე კატეგორია.

ამ კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი (ქალ. ცენტრ. რაიონ. მცხოვრებნი) საცხ. ბინის ყოველ კვადრატულ არშინზე იხდიან საქონლის მანეთის—0,4 კაპეიკს, ამიერ-კავკ. ბონებით კი (აპრილის კურსით) 3,800 მანეთს; ქალაქის განაპირა რაიონებში მცხოვრები მუშა-მოსამსახურენი იხდიან ყოველ კვადრატიულ არშინზე საქონლის მანეთის—0,20 კაპეიკს, ამიერ-კავკ. ბონებით კი (აპრილის კურსით)—1,940 მანეთს

მესამე კატეგორია.

გადამხდელთა ამ კატეგორიაში ჩარიცხულნი მუშა-მოსამსახურენი (ქალ. ცენტრ. რაიონებში მცხოვრებნი) საცხოვრ. ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან საქონლის მანეთის—0,5 კაპეიკს, რაც ამიერ-კავკ. ბონებით შეადგენს (აპრილის საქონლის მანეთის კურსით) ყოველ არშინზე—4.850 მანეთს; ქალ. განაპირა რაიონებში მცხოვრებნი იხდიან საცხ. ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე საქონლის მანეთის—0,25 კაპეიკს—ამიერ-კავკასიის ბონებით კი (ყოველ კვადრ. არშინზე) 2,425 მანეთს.

მეოთხე კატეგორია.

მეოთხე გადამხდელთა კატეგორიაში ჩარიცხულნი მუშა-მოსამსახურენი (ქალ.-ცენტრ. რაიონებში მცხოვრ.) საცხოვრებელ ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან საქონლის მანეთის—0,75 კაპეიკს; ამიერ-კავკ. ბონებით კი (ყოველ არშინზე) 7.275 მანეთს. ქალ. განაპირა რაიონებში მცხოვრ. იხდიან საცხ. ბინის ყოველ კვადრ. არშინზე საქონლის მანეთის—0,4 კაპეიკს—ამიერ კავკ. ბონებით კი—3,880 მანეთს.

(იხ. ქალ. სამ. დად. № 11 § 1, 2, 4).

მუშათა ქრონიკა

შრომის ინსპექტორატების მასამართლება.

მე-4 რაიონის შრომის ინსპექტორმა შრომის კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში მისცა და ოქმი შეუდგინა შემდეგ ფაქტებს:

— 1. **სახელის პატრონს სერგეი ხაკო